ბიბლიოთეკა
ეროვნული
ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანო ეროვნული ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკა ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლ. ქ. 1, ტ. (8 ეროვნ. ბიბლ. ბიბლიოთეკა) ბიბლ. ნომერი 12 ბიბლ. 1932 წ.

ბიბლიოთეკა: ბიბლიოთეკა—14—26, ბიბლ. ბიბლიოთეკა—S—81.

ეროვნული ბიბლიოთეკა, 14 ბიბლიოთეკა 1932 წ. № 214 (3468)

ეროვნული ბიბლიოთეკა ეროვნული ბიბლიოთეკა ეროვნული ბიბლიოთეკა

(„ბიბლიოთეკა“-ს ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკა)

ბიბლიოთეკა ეროვნული ბიბლიოთეკა ეროვნული ბიბლიოთეკა ეროვნული

პარტიული მშენებლობა

პარტუჯრედების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას განსაკუთრებული ყურადღება

ბიბლიოთეკა

როგორ იბრძვიან კალინინელები პარტ-მასიური მუშაობის გარდაჭმნისათვის

კალინინის სახელობის ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ საგრძნობი მიღწევები მოიპოვა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 21 მარტის დადგენილების და ამხ. კაბანოვიჩის სიტყვის რეალიზაციის საფუძველზე. ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ საბრძოლო ამოცანად გაიხადა პარტიული მუშაობის ახალი წესით და ახალი მეთოდებით გარდაქმნა, რომელიც უზრუნველყოფდა საწარმოო-საფინანსო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

ქარხანამ 1931 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმა სამარცხვინო ვარცხვებით დაამთავრა, გეგმა შესრულებული იქნა მხოლოდ 64,6 პროც. ამან პარტიული ორგანიზაციის წინაშე ამოცანად დასახა გაძლიერებულიყო ბრძოლა ჩამორჩენილობის ხალიკვიდაციისთვის და ხუთწლეულის დამამთავრებელი წლის დავალებათა მთლიანად შესრულებისათვის.

ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ ბოლშევიკური მუშაობა გაშალა საწარმოო დავალებათა შესასრულებლად. დარაზმა მთელი პარტიული და უპარტიო მუშათა მასები, საწარმოო საკითხების ირგვლივ, რის შედეგადაც მიმდინარე წლის პირველი 6 თვის საწარმოო-საფ. გეგმა 122,7 პროც. იქნა შესრულებული.

ქარხანაში მუშაობს 260 მუშა აქედან პარტიის 120 წევრი და კანდიდატია. ქარხნის მუშების უმრავლესობა ახალი მოსული მუშები არიან, რომლებიც ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის წინაშე აყენებს საკითხს გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მუშათა ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებზე.

ქარხანაში რამდენიმე ხნის წინად ჩატარდა კოშუნისტების ავანგარდული რიგის დათვალიერება, რომელმაც თვალსაჩინო გახადა თვითეული კომუნის ტის ბრძოლა ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების განაღდებისა და საწარმოო-საფ. გეგმების შესრულებისათვის. კომუნისტების ავანგარდული რიგის დათვალიერებამ გამოარკვია, რომ ზოგიერთი კომუნისტები მთლიანად გაურბოდენ პარტიული და საზოგადოებრივ მუშაობას და ხამარცხვინოდ ჩამორჩენილ მიწერილ ამხანაგებს საწარმოო-საფ. გეგმების მთლიანად შესრულებაში. ავანგარდის რიგის დათვალიერებამ აჩვენა, რომ ამის შესახებ პარტორგმა კოლექტივთა ახლა განგებაში. ქარხანაში მოსწავლე იქნა პარტუჯრედის ბიუროები ძირითადი ყურადღება მიექციათ მათ კონკრეტულ მითითებებს და საინსტრუქციო მოხსენებებს მომავალი მუშაობის წარმოებისათვის. ძირითადი პარტიული რგოლები საამქროებსა და ჯგუფებში აწარმოებენ ბრიგადულ მუშაობის ძლიერ კამყოფილებით დარჩენენ.

20 სექტემბრის პარტდღის ჩასატარებლად ფართოდ გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა 7 სექტემბრის საამქროების უჯრედების ბიუროებზე დამუშავდა საკითხი პარტდღის მნიშვნელობასა და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 7 აგვისტოს დადგენილების შესახებ. რის შემდეგ ბაშკოვიჩის თვითმეშვიდეწლედების გრიგადები ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესამოწმებლად. ამჟამად ძირითად პარტრგოლებში მიმდინარეობს მუშაობა პარტდღის მნიშვნელობის შესახებ.

კალინინის სახ. ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას ამ მიღწევებთან ერთად თავის მუშაობაში ახასიათებს მთელი რიგი მნიშვნელოვანი დამთბეძიები ასე მაგალითად: პარტუჯრედებთან ჩამოყალიბებულია სექტორები, მაგრამ სექტორების მუშაობა ორგანიზაციის მუშაობაში ჯერ კიდევ არ დაუწყია, რაც აბალხერებს იმას, რომ კალინინის სახ. ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ოპორტუნისტულ დამოკიდებულებას იჩენს პარტიულ და უპარტიო მუშათა მასების მარჩისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეში. ქარხანაში ჩატარდა ორი საკანდიდატო დღე, პირველი საკანდიდატო დღე ჩატარდა 10 ივნისს, რომელზედაც დამუშავდა საკითხი რისთვის არის სახ. კანდიდატო. სტაჟი. მეორედ მოწყობილ საკანდიდატო დღეზე კი დამუშავდა საკითხი: პარტიის ისტორიის შესახებ.

ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ ფართოდ გაშალა მუშათა მოსკოვის ბოლშევიკების გამოცდილების გადმოტანისათვის ორგბარტ-მასიური მუშაობის გარდაქმნის საქმეში. პარტიულმა ორგანიზაციამ სათანადო ყურადღება მიაქცია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას, ამ მიზნით ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში ძლიერ ცუდად არის დაყენებული ლიტერატურის გავრცელების საქმე.

პრესის მიმოხილვა

მოსავალი განაწილდეს მხოლოდ და მხოლოდ შრომა-დღეების მიხედვით

„სოციალიზმის გზით“ (გორი)

როგორც ავანსების გაცემის, ისე მოსავლის განაწილების საქმეში პარტიის ხაზის და არტელის წესდების სწორად გატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცებისათვის.

გასული წლების განმავლობაში ჩვენ გვქონდა მრავალი შემთხვევები, როდესაც ავანსების გაცემას და მოსავლის განაწილებას კოლმეურნეობებში წვრილ-ბურჟუაზ. გათანაბრების პრინციპით უდგებოდენ, მხედველობაში არ იღებდნენ გამოუშვებული შრომადღეების რაოდენობას, მუშაობის ხარისხს და მოსავალს განაწილებდნენ სულადობის, მოთხოვნილების, საჭიროების და სხვ. არა სწორი პრინციპის მიხედვით. მოსავლის განაწილების საქმეში გათანაბრების ხელს უწყობენ და ამყამადაც უწყობენ კულაკები, მათი აგენტები, ზარმაცები, მუქთახორები და უველა ისინი, რომელთაც სხვის ნაშრომზე უჭირავთ თვალი.

ავანსების გაცემაში და მოსავლის განაწილებაში მთელ რიგ კოლმეურნეობებში ასეთი წვრილბურჟუაზიული გათანაბრების შედეგად ჩვენ გვქონდა არა ნორმალური მდგომარეობა. დამკვრელი და კეთილსინდისიერი კოლმეურნეები, რომელთაც არ აკლდენენ სამუშაო დღეებს, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდენ გამომუშავების ნორმებს და ამტკიცებდენ საკოლმეურნეო წარმოებას—მოსავლისა და შემოსავლის წლიდან ხშირად ღებულობდენ შრომის დიფერენციებზე და ზარმაცებზე ნაკლებს.

პარტია, ხელისუფლება და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი ორგანოები იღებდნენ და იღებენ ზომებს კოლმეურნეობებში მოსავლის განაწილების დროს გათანაბრების ძირშივე აღკვეთისათვის. საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტმა „მოსავლის აღების კამპანიის შესახებ“ 5 ივლისის დადგენილებაში მოგვცა ამომწურავი მითითებები როგორც ავანსების გაცემის, ისე მოსავლის განაწილების წესის შესახებ კოლმეურნეობებში.

ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციებთან ერთად ამ დადგენილების ზედმიწევნით სწორად გატარებაში უდიდესი როლი ეკისრება გაზეთს, განსაკუთრებით **რაიონულ და ძირეულ პრესას.** რაიონული გაზეთის მოვალეობაა ოპერატიულად გააშუქოს შრომადღეების აღრიცხვის, ავანსების გაცემის და მოსავლის განაწილების მიმდინარეობა. **გაზეთმა უნდა ამხილოს** ავანსების გაცემაში და მოსავლის განაწილებაში პარტიის დირექტივების და არტელის წესდების **დამახინჯების ფაქტები.** გამოაშკარაოს კონკრეტული დამნაშავენი და სისტემატიურად იბრძოლოს კულაკური გათანაბრების მიდრეკილებათა აღსაკვეთად. ამასთან ერთად რაიონულ გაზეთებში სათანადოდ უნდა გააშუქონ ის შოკური კოლმეურნეობები, რომელთაც ავანსების გაცემის და მოსავლის განაწილების დროს ბრძოლა გაუმართეს კულაკურ გათანაბრებას და რომელთაც ამ ბრძოლაში მიაღწიეს გარკვეულ წარმატებას.

ჩვენ ვიცით, რომ ბევრ რაიონში ავანსების გაცემის და მოსავლის განაწილების დროს ადგილი ჰქონდა ისეთ ფაქტებს, როდესაც ხელმძღვანელი ორგანოები ან ცალკე პირები ხელმძღვანელობდენ არა პარტიის ხაზით, არამედ ცალკე ჯგუფების ინტერესებით. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ისეთ რაიონებში, სადაც ბრძოლა მიმდინარეობდა ტროცკისტ-ბუხარინელების ანტილენინური ბანდის წინააღმდეგ. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ისეთ რაიონებში, სადაც ბრძოლა მიმდინარეობდა ანტიპარტიული ლოკალური ჯგუფების წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობდენ ხელში ჩაეგდოთ ხელმძღვანელობა და ამით ხელი შეეშალათ პარტიის ხაზის გატარებისათვის.

შეშის დამზადებაში საგანგაშო მდგომარეობაა

„ეხლანდელ მუშას, ჩვენს საბჭოთა მუშას სურს დაიკმაყოფილოს **ძთელი** მისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილება,—სანოვაგის, ბინის სხვის, აგრეთვე კულტურული და სხვა ყოველგვარი მოთხოვნილება. **მას აქვს ამის უფლება და ჩვენ მოვალენი ვართ უზრუნველყოთ მისთვის ასეთი პირობები“ (სტალინი).** აქედან გამომდინარე ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა მუშათა კულტ - საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადოთ ყველა ჯურის ოპორტუნისტებს, რომელნიც მოდუნებისა და სამეურნეო უმოქმედობის ტლაპოში იხრჩობიან.

კარზე მოგვდგა ზამთრის სუსხიანი დღეები და მთელი სიმწვავით იჭრება საკითხი მუშათა შეშით მომარაგებისა. რა გააკეთეს ამ მხრივ ჩვენმა დამმამზადებელ და მომმარაგებელ ორგანიზაციებმა, შეიძლება მთელი ხმით ითქვას, რომ არაა გაკეთებული მინიმუმი იმისა, რის ვალდებულებაც აღებული ქონდათ მათ, რაც გამოწვეულია იმით, რომ ფოთის, ქასპის, თელავის და სხვა მთელ რიგ რაიონების **ლესპრომხოზებმა საწარმოო გეგმების შედგენის დროს ანგარიში არ გაუწიეს საკუთარ შესაძლებლობას, დამზადების რეალურ უნარიანობას.** ასეთ კაბინეტურ დონკიხოტობის შედეგად მივიღეთ ის, რომ მთელი რიგი დამმამზადებელი ორგანიზაციები სამარცხვინოდ ჩამორჩენ მომმარაგებელ ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებების განაღდების საქმეში. ასე მაგალითად: **თბილისის ლესპრომხოზს** საქსათბობისათვის გზის პირამდე უნდა გამოეტანა 12.400 კუბიური მეტრი შეშა და აგრეთვე დაემზადებია ტყეში 14.000 კუბ. მეტრი. პირველ სექტემბრისათვის ანგარიშულმა ორგანიზაციამ ტყეში დაამზადა ძხოლოდ 6.800 კუბ. მეტრი შეშა და ისიც საგურამოში. მიუვალ ადგილას აწყვია, რის გამოც ყოველდღე მოუსვრხებელი ხდება მისი გამოტანა. ამგვარად თბილისის ლესპრომხოზის მიერ გზაზე გამოზიდვის გეგმა შესრულებულია, ხოლო ტყეში შეშის დამზადების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 48.5 პროც. უნდა აღინიშნოს, რომ შეშის დამზადების მთელი სიძძიმე აწევს **სარეწაო კავშირს, მას უნდა ჩაებარებია 60.000 კუბ. მეტრ. შეშა, რომლიდანაც პირველ სექტემბრისათვის ჩაბარებულია მხოლოდ 6.000 კუბ. მეტრი** რაც შეადგენს გეგმის 6 პროცენტს., ფოთის ლესპრომხოზს გზის პირამდე უნდა გამოეზიდა **45.000 კუბ. მეტრი შეშა,** პირველ სექტემბრისათვის გამოზიდულია მხოლოდ **2.000** კუბ. მეტრ. გეგმის 4,4 პროც., ქასპის ლესპრომხოზს გზამდე უნდა გამოეზიდა 8.000 კუბ. მეტრი შეშა **პირველ სექტემბრისათვის გამოზიდვა ნოლს უდრის,** ანალოგიური მდგომარეობაშია ქასპის და სტალინის ლესპრომხოზი, ყოველივე ამის შედეგად **საქ. სათბობმა პირველ სექტემბრისათვის ნაცვლად 150.000 კუბ. მეტრისა შეშისა მიიღო მხოლოდ 20.250** კუბ. მეტრი, აქედან გზის პირზე გამოზიდულია **10.000** კუბ. მეტრი, გეგმის **6,7 პროც.** მუშათა დახურულ განმანაწილებლებზე გაცემულია გზის პირამდე გამოზიდული 7.000 კუბ. მეტრ. შეშა. საქ: სათბობის საწყობიდან გაცემულია 600 კუბ. მეტრი.

შეშის დამზადების გეგმის შეუსრულებლობის მიზეზია, როგორც ავღნიშნეთ არა რეალური გეგმები, უკეთ რომ ვსთქვათ სრული უპასუხისმგებლობა ზოგიერთ ლესპრომხოზის მიერ ხელშეკრულების დადების დროს განაღდების შესაძლებლობის გათვალისწინების საქმეში, რის შედეგად მიეღეთ არსებული გარღვევები შეშის დამზადების ფრონტზე, **საქსათბობის ხაზით დამზადებულია მხოლოდ გეგმის 13,5 პროც.**

გამოზიდვის გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვია ადგილებზე აგიტმასიური მუშაობის სუსტად გაწევამ და ადგილობრივ საბჭოების უმოქმედობამ მომმარაგებელ ორგანიზაციების რწმუნებულებზე დახმარების აღმოჩენის საქმეში, ყოველივე ამან სტიმულს აძლევდა ის გარემოება, რომ საქსათბობი ამ საქმეს მოუმზადებელი შეხვდა—მას არ აღმოაჩნდა სამრეწველო საქონლის მარაგი, რომელიც ეგზომ საჭიროა შეშის გამოზიდვის წარმატებით ჩატარებისათვის.

ანალოგიური მდგომარეობაა გრუზსნაბსბიტბში. მას ხელშეკრულება ქონდა დადებული ლესპრომხოზის 11 ორგანიზაციასთან რომელთაგან აღებული ვალდებულება პირნათლად არც ერთს არ შეუსრულებია, ასე მაგ: პირველ სექტემბრისათვის ფოთის ლესპრომხოზისაგან, გრუზსნაბსმიტმა მიიღო 6.756 კუბ. მეტრ. შეშა ნაცვლად 40.000 კუბ. მეტრისა, ქუთაისის ლესპრომხოზისაგან უნდა მიეღო 5.000 კუბმეტრი საიდანაც დღემდე არც ერთი მეტრი არაა მიღებული, ზუგდიდის ლესპრომხოზისაგან მიღებულია 730 კუბმ. შეშა ნაცვლად 15.000 კუბომეტრისა, გეგმის 4,9 პრო. თბილისის ლესპრომხოზისაგან მიიღო 4.170 კუბმეტრი ნაცვლად 10.000 მეტრისა, ე. ი. გეგმის 41.7 პროც., ხარაგოულის ლესპრომხოზს უნდა ჩაებარებია 5.000 კუბმეტ. შეშა გეგმა შეუსრულებულია, გურჯაანის ლესპრომხოზმა ჩააბარა 6.000 ნაცვლად 13.200 კუბმეტრისა ე. ი. გეგმის 45 პროც, და ა. შ: მთლიანად ლესპრომხოზს 11 ორგანიზაციიდან **გრუზსნაბსბიტს უნდა მიეღო 134.800 კუბმეტრი შეშა, აგრეთვე თვითდამზადების წესით მას უნდა დაემზადებია 20.000 კუბმეტრი რაც არ შეუსრულებია, ამგვარად პირველ სექტემბრისათვის გრუზსნაბსბიტს გააჩნია 22.377,5 კუბ. მეტრი შეშის მარაგი ნაცვლად 154.800 კუბმეტრისა** რაც შეადგენს გეგმის **14,5 პროც.**

მთლიანად **საქსათბობსა და გრუზსნაბსბიტს პირველ სექტემბრისათვის მიეღებოდა აქვს 42.727,5 კუბმეტრი შეშა ნაცვლად 305.580 კუბმეტრისა რაც შეადგენს გეგმის 13,9 პროც.** აქედან საქ. სათბობს მიღებული აქვს ჩასაბარებლად პუნქტებთან საიდანაც არის შესაძლებლობა მისი ტრანსპორტით გატანისა 10.000 კუბმეტრი. 16 მუშათა დახურული განაწილებლების ცნობით გზის პირზე გამოტანილ შეშის ზემოაღნიშნულ მარაგიდან შემოზიდულია თბილისში 8.185 კუბმეტრი ე. ი. 81,9 პროც., შემოზიდვის საერთო გეგმასთან შეფარდებით კი შემოზიდვა უდრის 5,3 პროც., ანალოგიური მდგომარეობაშია გრუზსნაბსბიტიც.

როგორც ფაქტები მიტყველებენ შეშით მუშების მომარაგების საქმე ჩაშლილია: დამპირზადებელ და მომმარაგებელ ორგანიზაციების მიერ აღებულ ვალდებულებათა გაბაღდების საქმისადმი ამპარა ოპორტუნისტული უსულგულო მიდგომის გამო თბილისს შეშის შემშილი მოელის, **საქსათბობის და გრუზსნაბსბიტის** საიდანაც არის შესაძლებლობა მისი ტრანსპორტით გატანისა **მაგრამ მინიმალურად ვერ და** აქამდეც არ აქვთ მიღებული **ზომები** დაწესებულებისა და მუშათა გაზრდილ მოთხოვნილებებს. აღებული **ტემპები ტყეში დამზადებულ შეშასაც დაღმობა-გადუხედავს.**

ამგვარად შეშის დამზადება-გამოზიდვის ფრონტზე კატასტროფული მდგომარეობაა. საჭიროა ამ საქმეში კონკრეტული დამნაშავე პირების პერსონალურად მიცემა პასუხისგებაში. დამზადების საქმეში უნდა აღებული იქნეს ბოლშევიკური ტემპები და ადგილებზე აგიტ-მასიური მუშაობის ფართოდ გაშლისა, ადგილობრივ საბჭოების ამოქმედებისა და პრეწველო საქონლის საჭირო რაოდენობით მომარაგების საფუძველზე დარაზმული უნდა იქნეს მუშათა დაგლეხთა ფართო მასები შეშის დამზადება-გამოზიდვის გეგმების შესრულების ორგანოდ. რომ თავი დავაღწიოთ სამარცხვინო გაორკეცებით.

ა. ს—ძე

სტუდენტთა ქალაქს არა აქვს წყალი და სინათლე

სტუდენტთა ქალაქში ცხოვრობს 5.500-მდე სტუდენტი. სამწუხაროდ ქალაქის კეთილმოწყობაზე არავინ ზრუნავს. რამოდენიმე თვეა, რაც ქალაქში და შენობების არც ერთ კორპუსში წყალი არ არის. ამის გამო, სტუდენტთა ბინებში გამეფებულია ანტისანიტარია. წყლის უქონლობის გამო სტუდენტები სარგებლობენ წყნეთიდან მომავალ მდინარით, რომელიც ძალზე უსუფთაოა და იქვეყნებს სხვა და სხვა ავადმყოფობას. დღეს სტუდენტთა შორის ფართოდ არის გავრცელებულია დეზინტერია, რომელიც ექიმების დასკვნით ამ წყლის ხმარებით არის გამოწვეული.

რამოდენიმეჯერ აღიძრა შუამდგომლობა წყალსადენის სამმართველოს წინაშე, რომ სტუდენტთა ქალაქისათვის მოეწოდებინათ წყალი; მაგრამ ეს შემადგენლობა უყურადღებოთაა დატოვებული. წყალსადენის სამმართველოს მიბაძა თელასმაც, რომელმაც ათი დღეა სინათლის მოწოდება შეუწყვიტა სტუდენტთა ქალაქს, რის გამო ღამით მეცადინეობა შეუძლებელი ხდება.

არც ბინებში სტუდენტთა ჩასახლებას ექცევა ყურადღება. ცალკე ინსტიტუტების ბინებში მოკალათებულია ისეთი ხალხი, რომელთა ბინებით უზრუნველყოფა ინსტიტუტს არ ევალება. სატყეო ტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ორი წელია ცხოვრობს ინსტიტუტის სამეფო ნაწილის გამგე **პავლე ბრიკოტენკო.** ბრიკოტენკოს მეორე სართულში ორი ოთახი უკავია. ამ ოთახში კი შეიძლება 9 სტუდენტის მოთავსება. (ბრიკოტენკოს ქონდა ავლაბარში საკუთარი ბინა, რომელიც სხვას გადასცა). ამავე ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს დამგეელი ქალი, რომელსაც ორი ოთახი უჭირავს. უკანასკნელად დანიშნულმა კომენდანტმა **რ. ფილიევმა** საცხოვრებელში დაიკავა ერთი ოთახი. ეს ხდება იმ დროს, როდესაც სატყეო ინსტიტუტს არ ყოფნის სტუდენტთათვის ბინები.

ინსტიტუტის პარტბიუროკოლექტივმა და პროფორგანიზაციამ, რამოდენიმეჯერ მიუთითა ინსტიტუტის დირექციას — მოეგვარებია აღნიშნული საკითხი, მაგრამ მითითება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

სტუდენტთა ქალაქს არ ყავს გუშაგი—ამის გამო ადგილი აქვს უწესრიგობას. (ოთახში ქეიფი, ჩხუბი, სიმღერები და სხვ.) სრულებით არ სწარმოებს კულტურული მუშაობა სტუდენტთა შორის. არ არის საკითხველო, კლუბი, სასადილო და კოოპერატივი. პურის წერტის წინ მთელი დღე გამართულია რიგები.

სტუდენტები: კ. თარაგამაძე. ს. წულაია.

რედაქციისაგან

სტუდენტთა ქალაქისადმი დაუშვებელ უყურადღებობაზე ბევრი დაიწერა გაზეთებში, სათანადო ორგანოები მას არ აქცევენ საჭირო ყურადღებას. ამით უნდა აიხსნას წყალსადენის სამმართველოს და თელასის ის დაუშვებელი მოქმედება, რამაც გამოიწვია ქალაქისათვის წყლის მოწოდების შეწყვეტა, სტუდენტთა შორის ავადმყოფობის გბვრცელება და სტუდენტთათვის სინათლის გადაჭრა.

რასთან დაკავშირებულ გლეხებს?

ოთხი თვეა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა საკ. ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილება საკოლმეურნეო ვაჭრობის წაროების წესის შესახებ.

დადგენილება ავალებს რკ. გზ. მუშაკებს გაეცხოველებიათ ბრძოლა სპეკულიანტებისა და გადამყიდველების წინააღმდეგ და ამით ხელი შეეწყოთ საკოლმეურნეო ვაჭრობის შემდგომ განმტკიცებისათვის. სამწუხაროდ ეს ამოცანა რატომღაც სხვაგვარათ ესმის კახეთის რკ. გზ. ხაზის ზოგიერთაზის ზოგიერთ მუშებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ შეუჭრიათ კოლმეურნეთა და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეთა ვაჭრობის უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა და რომლებიც უხეშათ ამახინჯებენ პარტიისა დასელისუფლების დადგენილებებს ამ საკითხში.

ავალაპარაკოთ ფაქტები:

10 სექტემბერს სადგ. **მელაანში**—გურჯაანის სადგურის განკარგულებით გამცილებლებმა შალვა ლომიძემ და გიორგი მათიაშვილმა დაატბიმრეს რაჟდენ ბოქოლიშვილი (კოლმეურნე ბოდბისხევიდან) სახდერო იმედაშვილი (მარტყოფიდან) შაქრო კანდელაკი (მარტყოფიდან) გოგია ტაბახმელაშვილი (კარდანახიდან) ალექსი და თამარა მაჭავარიანი (გურჯაანიდან) და სხვები, რომლებსაც სასოფლო - სამეურნეო პროდუქტები ჰქონდათ თბილისში, ზოგს გასასყიდათ ზოგს კი პირად საჭიროებისათვის. დაპატიმრებულებს ჩამოართვეს პროდუქტები.

გ. მათიაშვილმა თავი გურჯაანის რაიკომის წარმომადგენელათ გაასაღა, სინამდვილეში კი მას პირადობის მოწმობაც არ აღმოაჩნდა.

—ყველა გურჯაანში წამოხვალთ და იქიდან გაგანთავისუფლებთო. ასეთი სიტყვებით მიმართა ლომიძემ გლეხებს ვინ იცის სანამდის გაგრძელებოდა ლომიძის ასეთი თვითნებობა, რომ არ საქმეში არ ჩარეოდენ სხვები.

დატუსაღებული გლეხების ნაწილი განთავისუფლებული იქნა ძს შემდეგ, რაც წესრიგის დამცველებს გააცნეს მთავრობის დადგენილება იმის შესახებ, რომ კოლმეურნეებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებს უფლება აქვთ დაკრძალონ გაჰყიდონ და გადაიტანონ რკ. გზით თავიანთი სას. სამ. ნაწარმოები. და ტუსაღებულთა ნაწილი კი წაიყვანეს გურჯაანში.

პარტიისა და ხელისუფლების ხაზის ასეთ უხეშათ დამახინჯებათა და თვითნებურ მოქმედებათ საყვედურის გარდა სხვა სიტყვა არ მოიძებნება.

რედაქციისაგან

„კომუნისტი“ მიღებს საქმეში გურჯაანის რაიკომის წარმომადგენლის ლომიძის ჩარევას და ცნობას მიღებული ზომების შესახებ.

ოფიციალური განკუთვნილება

მეცნიერულ თანამდებობათა ნომენკლატურის შესახებ

ს.ს.ს.რ. სახკომსაბჭოს დადგენილების, საფუძველზე (მეცნიერული კვალიფიკაციის განსაზღვრისადმი მტკიცე და ზუსტი მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით, განსახკომთან არსებული გაუწყვეტათანშორისო სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისია ადგენს:

1. გაუქმდეს უმაღლეს სასწავლებლებისა და მეცნიერულ დაწესებულებების პრაქტიკაში არსებული ერთად წოდებული „მოვალეობის შემსრულებელთა“ თანამდებობა (დოცენტის მოვალეობის შემსრულებელი, პროფეესორის მოვალეობის შემსრულებელი).

2. წინადადება მიეცეთ უმაღლეს სასწავლებლებისა და მეცნიერულ დაწესებულებათა დირექტორებს დაუყოვნებლივ გაათქმევინონ „მოვალეობის შემსრულებელთა“ თანამდებობა“ თანამდებობაზე დანიშნონ ამ თანამდებობისათვის შესაფერ მეცნიერულ კვალიფიკაციის მქონე პირები.

3. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში ან მეცნიერულ დაწესებულებაში სათანადო კადრების უყოლობის გამო აუცილებელია კათედრის გამგეობა ან სხვა რომელიმე მეცნიერული თანამდებობა ეკავიათოს ამ თანამდებობისათვის საჭირო მეცნიერულ კვალიფიკაციის არ მქონე პირს, სათანადო დაწესებულებების დირექციამ უნდა აღძრას განსაკუთრებული, დასაბუთებული შუამდგომლობა განსახკომში (სამეცნიერო საბჭოში) და მხოლოდ ამ უკანასკნელის დასტურის შემდეგ გაათაროს ასეთი დანიშვნა.

განათლების საბალსო კომისარი და საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე: — ვ. გედია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სახალხო კომისარიატის საბჭოს დადგენილება

„სამოქმედო კოოპერაციის შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. 31 მაისის 10-ის დადგენილების მოქმედების ვადის განგრძობების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადგებტორო დავალიანების დაფარვის ვადისგძიებათა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. 31 მაისის 10-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 103 და 104; გაზ. „კომუნისტი“ № 177 1932 წ. აგვისტოს 1-სა) მოქმედების ვადა განგრძობილ იქნეს 1932 წ. დეკემბრის 1-მდე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ბ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ბ. დ. ა. ვ. ქუთათელაძე.

1932 წ. სექტემბრის 11. თბილისი.

კარტიული და საბჭოთა კალენდარი

14 სექტემბერს, საღ. 7 საათზე, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში, შესდგება ქართული ლიტერატურის ისტორიის სექციის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწროს შეძლებაც ამხანაგები: ს. ხუხდაძე, კ. კეკელიძე, შ. რადიანი, ა. ბარამიძე, თ. ბეგიაშვილი, დ. ბენაშვილი, მ. ნატროშვილი, ს. აბულაძე, ლ. ასათიანი, ბ. ჟღენტი, ვლ. ასათიანი, კ. მეძველია, ე. კაკაბაძე, ე. ლეონიძე.

14 სექტემბერს, საღამოს სრულ 7 საათზე, **თბილისის კომიტეტის მდივან ამხ. ფოთლიძესთან** შესდგება შემდეგ საწარმოთა უჯრედების მდივნების თათბირი. დაწყება საკალდებულოა დაუგვიანებლად.

ლენინის რაიონი: მაცივრის მწებრებლობა, დიდუბის სადგური, „ტკბილეული“-ს მშენებლობა, ავტოს ქარხნები 1, 2, 3, ავტოქარხანა; **სტალინის რაიონი:** სარახდაგის სახელოსნო, საქკოოპტრანსი, ტრაქტორ-ცენტრის სახელოსნოები, კირიანურები, ცხენსაწყლე, გემო-ცბა, საქფურნალტი, მელითონეთა ქარხანები, საშენელო სახელოსნო, ფანერის ქარხანა, საყალიბო ფაბრიკა, ფერომარგანეცის ქარხანა, პურის ქარხანა, ლითონის ნამტერეების ტრესტი; **„26-ის სახ. რაიონი:** ტყავის ქარხანა № 2, ქიმკომბინატი, ა.-ქ. უტილი, სახელოსნო „პიონერი“, მაცივარი, საწკეცავი, დანადგარი, მურაბის ფაბრიკა, ღორეკომი, სახელგამის სახელოსნო, ქუის საპრელი, ხალვის ქარხანა, სასლის მუშების, საქაეშენი, რეზინის საქსოვი, ავიასადგური; **ქალაქის რაიკომი:** პოლიგრაფტრესტის საფ.-ხალ. სკოლა, მანქანების სარემონტო ! ტრესტი, თელასი, ღილის ფაბრიკა, ლემონადის ქარხანა, წითელი კონდიტერი, ა.-ჯ. წყალთა მეურნეობის მშენებლობა, სასლის მუშები, სამხსწავლო სახელოსნოები. სახკომსაბჭოს გარაჟი, ზუსტი ხელსაწყოს სახელოსნოები; **ლენინის რაიონი:** მანქანების სარემონტო სახელოსნო, რკინის გზის ფოსტა, რკინის გზის საავადმყოფო, სარემონტო სახელოსნოს კავშირგაბმულობის სახელოსნო, საწყობის სახელოსნოები.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი ა. წ. 14 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის პარტკაბინეტში იწვევს მომხსენებელ-ების, უჯრედთა მდივნების და ფუნქციონერების თათბირს საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ის 1932 წლის 7 აგვისტოს დადგენილების დასამუშაებლად. მომხსენებელი—ამხ. გრიგორიანი. მომხსენებელთა უჯრედებისათვის მოწვეული არიან შემდეგი ანხანაგები:

აბრაშუმის საქსოვი ფაბრიკა—ჩერგელია (რაიკომი), პოპანოტის, დალაქიშვილი, (ა.-ქ. სამხ. კომიტეტი). ქტკელია, (ა.-ქ. კოლმეურნეცენტრი), მატანიანი, ლორთქიფანიძე (ეკონომიური განვკეთილება ინსტიტუტი); „ზარია ვოსტოკა“—მორტი, ბალბანდული, კრონშტინი, ნოვიკოვი; ლიტოგრაფია—ტუღარინი, მ. ვარანანიანი, პატარაია (კოლმეურნეცენტრი); 1-ლი სტამბა—ზერაბიშვილი (სახკომსაბჭო), მე-2 სტამბა—გოდერძიშვილი, საქსახკომსაბჭოს სტამბა—გოგუა (რაიკომი), პოლიგრაფტრესტის სფ.-ხალ. სკოლა—უნგიაძე (საქ. სოცდაზღვევის სამმართველო), ზუსტი ხელსაწყოების სახელოსნოები—შაროევი (რაიკომი), კომბინმშენი—კირკაკოზი (რაიკომი), საკანდიტრო ფაბრიკა—გრიგოლია (რაიკომი), ღილის ფაბრიკა—ლურსმანოვი (კომკავშირის რაიკომი), ხე-ტყის სახერხი ქარხანა—მინდიაშვილი (კომკავშირის რაიკომი), ავეჯის ფაბრიკა—შელია (რაიკომი), უმ. ეკ. გაერთ.—ავალიანი (ბრამჭესი), აბრეშუმის ქარხნები—ზარიფიანი, მინზოვეი, ალიხანოვი, აბოროანი, აკოფიანი, თელასი—ჭეჭურლორია; სახპოლიტსამმართველოს შენებური—მოროზოვი; სახანძრო რაზმი—მელნიკოვი; მეტროთავნი—თარხანოვი (რაიკომი), სამოსწავლო სახელოსნო —ელისაბედაშვილი; სასლის მუშების უჯრედი—ციხაისი; კეროპი—ღლონკი (პროფსაბჭო), წითელი კონდიტერი —ჭუთათელაძე (მუშაკეთილინი); ლენინ. ქარხანა—გოგია (სახკომსაბჭო); აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის საფ.-ხალ. სკოლა—ცქიტიშვილი (ცეკა), მშრომელ ქალთა მიწადმომწყობი საზ.-ბა—კოკოშვილი (სახმეპრა), სახკომსაბჭოს გარაჟი—მგელაძორეა; რადიოცენტრი—დემეტრაძე; „სოიუზტრანს“-ის გარაჟი—მდივანი; „სოიუზტრანს“-ის სფ.-ხალ. სკოლა—ბაბაიანი.

საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ლენინ-ოკტომბრის რაიკომი 14 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე იწვევს კულტპროპორგანიზატორების რაიონულ კონფერენციის შემდეგ საკითხზე: კულტპროპორგანიზატორების ამოცანები მარქსისტულ-ლენინური აღზრდის დარგში. წინადადება ეძლევა უჯრედთა ყველა მდივნებს პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველყონ კულტპროპორგანიზატორების დასწრება.

ზმოვანი კინო
ოქტომბერი (ყ.-პოლო)
6-30, 8-30, 10-30.

დამკვრელი (სახაფს.)
(ყოფ. ბალახი)
დასაწყ. 7-45, 9-15, 10-45.

დამკვრელი ზამთრის
6, 7-30, 9. 10-30

კინო დარბაზი სახაფს.
დასაწყ. 8, 9-30, 11 ს.

ე თ ე რ ი (სახაფს.)
8, 9 30, 11 ს.

სახლამოს კინო
ს პ ა რ ტ ა კ ი
დასაწყ. 7-30, 9, 10-30.

რ ლიუქსემბურგის სახ
კინო (ყოფ. ივერიონი)
დასაწყ. 8. 9-30. 11.

ს. მგალობლი, შტრაუხი, ნიკიტინი
ზ მ ო ვ ა ნ ი კ ი ნ ო
თქვენთვის სამუშაო გამოწვდება
მონტაჟი პეტკინი ახალ კომედიაში
1-ლი აპრილი
პროგრამის გარეშე
სტალინგრ. სამგრაძტ. ქარხანა
პატი და პატაშონი კომედიაში
ძალა და სილაგაზე
პროგრ. გარეშე კინო-ჟურნალი № 15
გერმან წარპოების
მხატვრული სურათი
პროგრ. გარეშე კინო-ჟურნალი № 14
ლუ-ლუ
მხატვრული ფილმი
„სნაიპერი“ (საუკეთესო მ.როლელი)
მხატვრული ფილმი
სიკვდილის ნავსაღგური
პროგრამის გარეშე—ფრანზწელთა ბანაკი

დღეიდან 14 სექტემბრიდან
კინო-თეატრი
დამკვრელი
პრემიერა
ამერიკული კომედია
1-ლი აპრილი
მონტი ბენკსის
მონაწილეობით.
სეანსების დასაწყისი:
ზამთრის კინოში—6, 7-30, 9, 10-30.
სახაფსულოში—7-45, 9-15, 10 45.

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული სანარდე-სანქსნო ორგანოების. სიფილ.და კანის ავადმყოფ დილ.—1 ს. საღ. 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო. „ევროპას“ (ყ. „ნოე“-ს პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახ. № 5 —28

ექიმი
ა. დ. ყლენტი
შინაგანი სნეულებანი. სპეც. კუჭ-ნაწლავის სნეულებათა გამოკვლევა და მკურნალობა.მიღება ყოველდღე 6—7 საათამდე. ოთხშაბათობით უფასოდ. წყნეთის ქ. № 8
13—1

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს. მისამართი: კამოს ქუჩა № 72 (ყოფ. დიდიმთავრის ქუჩა) ალექსანდროვის საავადმყოფ. პირდაპირ. 9320.

ვ. ქ. ფიქსენრიძე
პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ ორთქ. ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად. ძნელაძის ქ. (ყოფ. საპირონის) 19, იღებს დილით 10—3 ს და საღ. 6—8 ს. შესასვლ. ძნელაძის შესახვევიდან. 25—4

ა-ქ. ტოკომერაფიულ ტექნიკუმში
განცხადებების მიღება
გრძელდება ქართულ სექტორზე.
ტეხნიკუმში ქართულ სექტორზე მიიღებიან 1932-33 სასწ. წ. 25 კაცი.
განცხადებების მიღება გაგრძელებულია 20 სექტემბრამდე. მიღების პირობები საერთოა, დამწვრილებით პირობების გაგება შეიძლება ტეხნიკუმში, სანაპიროს ქ № 11.
618 დირექცია.

„საკავშკროგის“ მიერ
ახლად მაცხნილ
2 წლიან სასწავლებელში მიღება
მამრკმლებულია
ა-წ. 20 სექტემბრამდე.
(პირობები იხილეთ გაზ. „კომუნისტში“ ა-წ. 4/IX, 5/IX და 6/IX)
საქმაკროგის კადრების
ნ. 136 სექტორი.

ექიმი
კ ი რ ა კ ო ზ ი
ვ ლ. ვ ა ს
გულის და ფილტვების სნეულებანი. მიღება საღამოობით 6—7 ს. ფიროსმანეიშვილის ქ. № 21 № 21 455 22—8

ექიმი
ი ა კ. თ რ ო ი ც კ ა ი ე ლ ი
თვალის სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათ. ვანის კალანდაძეს. ქუჩ № 25
25—32

ის სტუდენტები,
რომლებმაც დაამთავრეს სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დარგი, ბნ და სწავლობენ შკანასკნელ კურსებზე,
ვალდებული არიან გამოცხადნენ ინსტიტუტის კანცელარიაში დიპლომებისათვის.
ინსტიტუტის დირექცია.

სამ. სახ. საუნივერსიტეტო ინსტიტუტის
დ ი რ ე ქ ც ი ა
აცხადებს 1-ლ კურსზე ჩარიცხულ სტუდენტთა საყურადღებოთ, რომ ვინც არ გამოცხადება ინსტიტუტის კანცელარიაში სექტემბრის 20 რიცხვამდე, (მეღიქიშვ. ქ. № 9) მექანიკურად გამორიცხული იქნება ინსტიტუტიდან.
დირექცია.

ამიერ-კავკასიის ლენინის სახელობის
გზათა ინჟინერების ინსტიტუტი
აცხადებს სტუდენტების საშემოდგომო მიღებას
შემდეგ სამეცადინეოებათა დღის და საღამოს განყოფილებების 1-ლ კურსზე:

	დღის განყ	საღამოს განყ.
1. ელექტრომავლის	ქართულ და რუსულ ენაზე	ქართულ ენაზე
2. ელექტროწევის	იგივე	იგივე
3. ხაქსპლოატაცია	სომხურ. თურქულ და რუსულ ენაზე	იგივე
4. სადგურის და კვანძება	რუსულ ენაზე	
5. საგზაო-საამშენებლო	ქართულ, სომხურ და რუსულ ენაზე	
6 ავტო ხაექსპლოატაცია	იგივე	

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები: განათლებისა და დაბადების (შემსვლელი უნდა იყოს არა ნაკლებ 17 და არა უმეტეს 35 წლისა), სამხედრო-სააღრიცხვო ბილეთი, შემსვლელის და მისი მშობლების სოციალურ მდგომარეობის, შემოწმებული აქმინისტრაციის მიერ, მარტოხელა მეურნე გლეხებისა და ღარიბებისათვის 1930—31 წლის სასო ფლო-სამეურნეო გადასახადის საგადასახადო ფურცელი, ოჯახური მდგომარეობის, მიღინება საწარმოოსაგან და პროფორგანიზაციისაგან, უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელში შემსვლელისათვის დაწესებული ფორმის შემოწმებული ანკეტა, სამი ფოტოგრაფიული სურათი და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ახასიათებენ შემსვლელის სახოგადოებრივ მუშაობას.

საღამოს განყოფილებაზე მიიღებიან მხოლოდ რკინისგზელები, რომელნიც მუშაობენ რკინის გზის ტრანსპორტის ამა თუ იმ დარგში უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლის სათანადო სპეციალობასთან შეფარდებით

მიმღები კომისიის მიერ ჩარიცხული სტუდენტები და კანდიდატები ითვლებიან პირობით მიღებულებად. საბოლოო ჩარიცხვას აწარმოებს დირექტორი მიღებულთა მიერ პროფშერჩევის და სამედიცინო კომისიებში გავლის შემდეგ, აგრეთვე მას შემდეგ რაც ისინი გაივლიან სადეკადო გამოცდას მათემატიკასა, ფიზიკასა, პოლიტეკონომიასა და საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში.

განცხადებათა შეტანის ვადა 17 სექტემბრამდე.
გამოცდის დასაწყისი 21 სექტემბრიდან.
დოკუმენტები დედნებში 2 შემოწმებული ასლით უნდა გაიგზავნოს: თბილისი, პლეხანოვის პრ., 138—ა-კ. გზათა ინჟენერების ინსტიტუტი.
ნ. 135 დირექცია.

დაუსწრებელი ენერგეტიკული ინსტიტუტი
აწარმოებს მიღებას
1) III კონცენტრზე (ამზადებს ტეხნიკოსებს; საჭიროა ცოდნა 7-წლედის ფარგლებში).
2) IV კონცენტრზე (ამზადებს ინჟენერებს; საჭიროა ცოდნა 10-წლედის, ტეხნიკუმის ან მუშფაკის ფარგლებში).
მეცადინეობა სწარმოებს შემდეგ სპეციალობაზე:
1. საწარმოო დაწესებულებათა ელექტრომოწყობილება (ელექტრო-მექანიკური).
2. ელექტრო-სადგურების მშენებლობა (ც.ვ.ს.) არის რუსული და ქართული სექტორები. დაუსწრებელ ტ.ე.ი. აქეს იგივე უფლებები, რაც სტაციონარულს.
მიღების პირობები, ანკეტები და სხვა ცნობები: არსენალის მთა, თბილისის, ენერგეტიკული ინსტიტუტი.
ინსტიტუტის კანცელარია მუშაობს 9